საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 17-1/10739
01/11/2023

10739-17-1-2-202311011723

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრს

ბატონ გიორგი ამილახვარს

წინადადება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე

(შემუშავებულია და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ "საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად)

ბატონო გიორგი,

მოგეხსენებათ, სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე ადამიანის უფლებათა ექსპერტების ჩართულობისთვის უწყებათაშორის თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების სრულფასოვანი მიღწევისთვის. საქართველოს სახალხო დამცველსა და სამინისტროს შორის ამ სფეროში 2019 წელს ჩამოყალიბებული თანამშრომლობის პოზიტიური პრაქტიკა 2023 წელს მიმდინარე შინაარსობრივი რეცენზირების პროცესშიც შენარჩუნდა.[1] საგულისხმოა ისიც, რომ თანამშრომლობის ამ პრაქტიკას სახელმწიფოც პოზიტიურად აფასებს „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის საფუძველზე შექმნილი საკონსულტაციო კომიტეტის წინაშე წარდგენილ უკანასკნელ მოხსენებაშიც.[2]

საქართველოს სახალხო დამცველმა შეაფასა მიმდინარე წლის შინაარსობრივი რეცენზირების პროცესის ზოგიერთი ასპექტის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო სტანდარტებთან და ადამიანის უფლებათა სამართლის მოთხოვნებთან. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, პრაქტიკაში საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლა ცხადყოფს, რომ სისტემური, არსებითი მნიშვნელობის მქონე გამოწვევები კვლავ არსებობს. [3]

ფაქტობრივი გარემოებები

შინაარსობრივი რეცენზირება სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის ფარგლებშიც სახელმძღვანელო არაერთ ჭრილში ფასდება. ამ პროცესში სხვადასხვა სტატუსის მქონე რეცენზენტი მონაწილეობს.[4]

---

[1] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 26 იანვრის 765/23 წერილი; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 07 თებერვლის 17-1/1286 წერილი.

[2] Fourth Report submitted by Georgia pursuant to Article 25, paragraph 2 of the Framework Convention for the Protection of National Minorities, 31 July 2023, para.118 https://rb.gy/93q7p [07/08/2023]

[3] 2023 წლის 10 ივლისის 7990/23 მოხსენებითი ბარათი; 2023 წლის 17 ივლისის 3805-23 ოქმი.

[4] „ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 16 იანვრის MES 6 23 0000032029 ბრძანებით დამტკიცებული წესის მესამე მუხლის მეორე პუნქტი. [შემდგომში-რეცენზირების წესი].

უფლებრივი თვალსაზრისით სახელმძღვანელოს ინდივიდუალური შეფასებისას, „სხვა სპეციალისტი“ და ფსიქოლოგი მასალას ამოწმებენ კონკრეტული ფუნქციური დატვირთვის ფარგლებში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციასთან და გაეროს მდგრადი განვითარების პრინციპებთან სახელმძღვანელოთა თავსებადობას მხოლოდ „სხვა სპეციალისტი“, ხოლო თანასწორობისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ასევე ძალადობისაგან მოწოდების აკრძალვის კრიტერიუმებს, “სხვა სპეციალისტთან” ერთად, ფსიქოლოგიც იყენებს.[5]

თითოეული რეცენზენტი წარმოდგენილი მასალის შეფასებას ინდივიდუალურად, მხოლოდ მის ფუნქციურ დატვირთვაში შემავალი კრიტერიუმების ფარგლებში ახორციელებდა საგნობრივი ჯგუფის შეხვედრამდე და შეიმუშავებდა არასავალდებულო რეკომენდაციებს, რომლებიც შემდგომში ჯგუფის სხდომაზე განიხილებოდა.[6] ამ მიმართებით საგულისხმოა, რომ განმცხადებლისათვის აუცილებლად შესასრულებელი მხოლოდ ის რეკომენდაციებია, რომლებიც სხვადასხვა სტატუსის მქონე ყველა შემფასებლის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე შემუშავდება და დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერას მოიპოვებს.[7]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა „სხვა სპეციალისტების“ მონაწილეობით ჩატარებული საგნობრივი ჯგუფის 54 სხდომის ოქმი. აღნიშნულის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

- მუსიკის ერთ-ერთ საგნობრივ ჯგუფში, მაკეტში გამოყენებული იყო ტერმინი „მუსიკა მუნჯ კინოში“ მართალია სიტყვა მუნჯი „უხმო“-თი შეიცვალა, თუმცა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა შეიცავს ტერმინს „მუნჯი კინო“.[8]
- რუსული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის წევრები მიუთითებდნენ, რომ რეცენზირების წესით განსაზღვრული თანასწორობის დაცვის კრიტერიუმი მხოლოდ მასალაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერის ამოღებისკენ იყო მიმართული და არ მოიცავდა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების წარმოჩენის მოთხოვნას.[9]
- მათემატიკის საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა მიუთითა, რომ სახელმძღვანელოში სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრირება პოზიტიური დისკრიმინაციაა.[10]
- ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთ საგნობრივ ჯგუფში რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის წევრებმა განსაკუთრებით დაბალი მგრძნობელობა გამოავლინეს „სხვა სპეციალისტი“-ს მიერ ქალთა გენდერული ნიშნით სტიგმატიზაციის თავიდან აცილებისაკენ მიმართული რეკომენდაციების განხილვისას.[11] ამასთან, ამავე საგნობრივ ჯგუფში დაფიქსირდა რეცენზენტთა დაბალი მგრძნობელობა სასკოლო მასალის რელიგიური ნეიტრალობის უზრუნველსაყოფად გაცემული რეკომენდაციების გარშემო მსჯელობის დროსაც.[12]

---

[5] იქვე, რეცენზენტთა ფუნქციური დატვირთვა, კრიტერიუმი 7.5,7.6, 7.1.-7.3.
[6] რეცენზირების წესის მე-5 მუხლის მესამე პუნქტი, მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტი;
[7] იქვე, მე-9 მუხლის მესამე პუნქტი და მე-12 მუხლის მესამე პუნქტი.
[8] სსიპ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2023 წლის 18 ივლისის 8355/23 წერილის დანართი- საგნობრივი ჯგუფის სხდომათა ოქმები; „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის 40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული გეგმის 79-ე მუხლი.
[9] სსიპ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2023 წლის 18 ივლისის 8355/23 წერილის დანართი- საგნობრივი ჯგუფის სხდომათა ოქმები.
[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] იქვე.

- აღსანიშნავია, რომ რეცენზენტთა შერჩევის კრიტერიუმები არ ადგენს ადამიანის უფლებებთან თავსებადი ღირებულებების ქონის მოთხოვნას.[13]

საგნობრივი ჯგუფის წევრთა მხრიდან არაეთიკური, არაკოლეგიალური ქცევა და მასზე რეაგირება

ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთ საგნობრივ ჯგუფში „სხვა სპეციალისტთა მიმართ, ჯგუფის სხვა წევრების მიერ ხშირი იყო არაეთიკური, არაკოლეგიალური და „სხვა სპეციალისტი"-ს რეკომენდაციების გაზიარებაზე სრულიად დაუსაბუთებელი უარის თქმა.[14] მოცემულ შემთხვევაში, საგნობრივი ჯგუფის სხვა წევრები, რეკომენდაციისა და დასაბუთების მოსმენის შემდეგ, განმარტების გარეშე, ან ზედაპირული დასაბუთების საფუძველზე ერთმნიშვნელოვან უარს აცხადებდნენ რეკომენდაციის გაზიარებაზე.[15] ხსნებულ საგნობრივ ჯგუფში „სხვა სპეციალისტის" არაერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციას საგნობრივი ჯგუფის ცალკეული წევრები წვრილმანად მოიხსენიებდნენ.[16]

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის [შემდგომში- სისტემა/დამსაქმებელი] განმარტებით, რეცენზენტებთან დადებული შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რეცენზენტთა მიერ გამოვლენილი არაეთიკური ქცევის გამო დისციპლინური წარმოების საკითხებს.[17] უწყების განმარტებით, შრომითი ურთიერთობისას დისციპლინური წარმოების საკითხების რეგულირებისას „...[იგი] ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით - საქართველოს შრომის კოდექსით, მინისტრის სამართლებრივი აქტებით, შრომითი ხელშეკრულებით და სხვა ინსტრუქციებით."[18]

ტრენინგები რეცენზენტთათვის ადამიანის უფლებათა საკითხებში

შესაფასებელ პროცესში რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის წევრთათვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა, სამინისტროსთან თანამშრომლობით, ერთი ტრენინგი ჩაატარეს სხვადასხვა უფლებრივი თემატიკის შესახებ.[19] აღნიშნულის გარდა სხვა ტრენინგი ადამიანის უფლებათა საკითხებზე მათთვის არ ჩატარებულა.[20]

გასაჩივრება

რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის რეცენზიების გასაჩივრების მიზნით შექმნილი სააპელაციო კომისია უფლებამოსილია: გასაჩივრებული კრიტერიუმის ჭრილში გასცეს ახალი რეკომენდაცია, შეცვალოს რეცენზენტთა მიერ განხორციელებული ქულობრივი/სიტყვიერი შეფასებები, გაცემული რეკომენდაციათა შინაარსი, ან უცვლელად დატოვოს ისინი.[21]

---

[13] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილი და დანართი 1.

[14] სსიპ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2023 წლის 18 ივლისის 8355/23 წერილის დანართი- საგნობრივი ჯგუფის სხდომათა ოქმები.

[15] იქვე.

[16] იქვე.

[17] სსიპ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2023 წლის 18 ივლისის 8355/23 წერილი.

[18] იქვე.

[19] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილი.

[20] იქვე.

[21]„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესის და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 მაისის N582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 25 მაისის MES 3 23 0000602131 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მეორე პუნქტის 'ზ.ა'-'ზ.გ' ქვეპუნქტები.[შემდგომში- სააპელაციო კომისიის მუშაობის წესი].

სააპელაციო კომისიის დაკომპლექტება მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილებაა.[22]2022 წლის მსგავსად, შესაფასებელ პერიოდში მისი წევრები მხოლოდ სამინისტროს და მისი სისტემის სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირები, ასევე სკოლის დირექტორები, იყვნენ.[23]

აღსანიშნავია, რომ უფლებრივ ჭრილში გასაჩივრდა 22 სახელმძღვანელოს მაკეტი ხოლო კომისიამ ყველა მათგანის განხილვაზე მოიწვია კრიტერიუმის შემფასებელი რეცენზენტები.[24]ხაზგასასმელია, რომ ოქმში არ არის ასახული ჩართულ პირთა პოზიცია განსახილველ საკითხზე.[25] ამასთან, 2022 წლის მსგავსად, ამ პროცესში ჩართულ რეცენზენტს ან სხვა მოწვეულ პირს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებამოსილება კვლავ არ აქვს.[26]

სააპელაციო კომისიის პრაქტიკის, მათ შორის ზემოხსენებული საჩივრის მასალების შესწავლისას გამოირკვა, რომ კომისიის გადაწყვეტილება სხდომის ოქმით ფორმდება, რომელიც დასაბუთებას არ შეიცავს.[27] ამასთან, ოქმში ასახული არ არის მტკიცებულებათა გამოკვლევის და მათი მეშვეობით საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის პროცესი.[28] ამ დოკუმენტში მოცემულია სხდომის მიმდინარეობის ორგანიზაციული ასპექტები, უფლებამოსილება, სხდომაში მონაწილე პირთა ვინაობა და საკითხის განხილვის შედეგად კომისიის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.[29] გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან სახელმძღვანელოს ავთენტურობის შეფასებისას, კომისიის გადაწყვეტილებები თითოეული რეცენზენტისათვის სავალდებულოა შესასრულებლად.[30]

სამართლებრივი შეფასება

ზოგადი პრინციპები

ზოგად განათლებაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების ფუნდამენტური ნაწილია მოსწავლის ჩამოყალიბება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე თავისუფალ პიროვნებად და ამის მისაღწევად ყველა საჭირო პირობის შექმნა.[31] ამასთან, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, სკოლამ მოსწავლეებს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი უნდა

[22]„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი.[შემდგომში-გრიფირების წესი].

[23] „ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა/პირებთა (რომელიც/რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს/წარუდგენენ გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) საჩივრების მიღებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 მაისის MES 1 23 0000563070 ბრძანება.

[24] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილი. „...თუ არ ჩავთვლით ცალკეული მოწვეული პირების განხილვაზე დაუსწრებლობას დროის უქონლობის გამო“ იხ. იქვე.

[25] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილის დანართი- სააპელაციო კომისიის სხდომათა ოქმები.

[26] გრიფირების წესის მე-10 მუხლის მესამე პუნქტი.

[27] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილის დანართი- სააპელაციო კომისიის სხდომათა ოქმები.

[28] იქვე.

[29] იქვე.

[30] სააპელაციო კომისიის მუშაობის წესის მე-7 მუხლის მერვე პუნქტი.

[31] ზოგადი განათლების შესახებ “საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა” და „ბ” ქვეპუნქტი.

გამოუმუშაოს, რომელსაც იგი გამოიყენებს პრაქტიკაში, საკუთარი და სხვათა უფლებების დასაცავად.[32]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. [განათლება] საზოგადოებაში საღი აზრის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ადამიანის უფლებების დაცვის საუკეთესო გარანტიას განათლებული საზოგადოება წარმოადგენს, რომელმაც იცის თავისი უფლებები და მოვალეობები.“[33]

ზემოხსენებულთან ერთად, განათლებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს, რომ ყველა საგანმანათლებლო კომპონენტი კურიკულუმის, სასწავლო მასალებისა და მეთოდების ჩათვლით, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისაკენ იყოს მიმართული.[34]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში განათლების უფლება სხვა უფლებათა რეალიზების ფუნდამენტია და იმდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რომ მისი შემზღუდველი განმარტება შეუსაბამო იქნება საკუთრივ მუხლის მიზანთან.[35] ამასთან ერთად, სასამართლომ დაამკვიდრა მიდგომა, რომ განათლების უფლება საერთაშორისო სამართალში არსებულ სხვა შესაბამის უფლებათა დაცვის დოკუმენტებთან ჰარმონიაში უნდა იქნეს გაგებული.[36]

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით: „კონვენციის ღირებულებებზე დაფუძნებული შინაარსი წარმოადგენს ყოველი ბავშვისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს იმისთვის, რომ მან შეძლოს საკუთარი ცხოვრების დაბალანსებულად წარმართვა და თანამედროვე გამოწვევებს გაუმკლავდეს ადამიანს უფლებათა პრინციპებზე დაყრდნობით.“[37] ხსენებულთან ერთად, კომიტეტის ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა, რომ კონვენციაში განმტკიცებული ბავშვის განათლების მიზნების მიღწევა მოითხოვს სასკოლო სახელმძღვანელოების სისტემურ გადახედვას.[38] გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, ეს პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ შედეგად მიღებული “[…]სასწავლო მასალები შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს.“[39]

დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდილი, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის პრინციპების მხარდამჭერი, ადამიანის უფლებათა პატივისცემის სრულფასოვანი უნარის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, საქართველოს ზოგადი განათლების მთელი სისტემის და არა

---

[32] „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ “საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილების „თ” ქვეპუნქტი.

[33] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N 2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე, „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II 18; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის №2/3/1559 გადაწყვეტილება საქმეზე „არჩილ მორბედაძე და ამალია ბადალიანი საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“ II 3.

[34] Revised draft plan of action for the first phase (2005-2007)of the World Programme for Human Rights Education“ Adopted by UN General Assembly, 02 March 2005 პარაგრაფი 17 (a) ქვეპუნქტი. https://shorturl.at/vSZ46 [06/08/2023]

[35] Guide on Article 2 of Protocol No.1 to the European Convention on Human Rights 31/08/2022, პარაგრაფი 8, იხ. https://bit.ly/3FfMiC1 [06/08/2023].

[36] იქვე, პარაგრაფი 8.

[37] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, იხ. https://bit.ly/35oDnM8 [06/08/2023] პარ. 3.

[38] იქვე, პარ. 18.

[39] Revised draft plan of action for the first phase (2005-2007)of the World Programme for Human Rights Education“ Adopted by UN General Assembly, 02 March 2005 პარაგრაფი 19 (c) პუნქტის (iii) ქვეპუნქტი. იხ. https://bit.ly/3mlK1MU [06/08/2023].

ექსკლუზიურად რომელიმე საგნის მიზანია. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ რეცენზირებისას უფლებრივი კრიტერიუმები გამოიყენება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის მიმართ.[40]

რეცენზენტების ტრენინგები და შეხედულებები

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მითითებით, კონვენციაში განმტკიცებული განათლების მიზნებისა და ღირებულებების რეალური დანერგვა შეუძლებელია თუ ის პირები, რომლებმაც უნდა გადასცენ, წაახალისონ და ასწავლონ ეს ფასეულობები, თავად არ განასახიერებენ ამ ღირებულებებს და დარწმუნებულნი არ არიან მათ მნიშვნელობაში.[41] აღნიშნულის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბავშვის განათლების პროცესში ჩართული ყოველი პირისთვის კონვენციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტში ასახული პრინციპების წამახალისებელი ტრენინგ პროგრამების შემუშავება და ჩატარება.[42]

ამ კონტექსტში, სახალხო დამცველი კვლავ ხაზს უსვამს, რომ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრი, განურჩევლად ფუნქციური დატვირთვისა, არსებითად მონაწილეობს მოსწავლეთათვის განკუთვნილი სავალდებულო სასწავლო შინაარსის ფორმირებისა და მისთვის ადამიანის ძირითადი უფლებების გამავრცელებელი/წამახალისებელი ღირებულებების გადაცემის პროცესში.

ამ ვითარებაში, სახელმწიფოს კვლავ არ აქვს შემუშავებული რეცენზენტებისათვის სავალდებულოდ გასავლელი ტრენინგები ადამიანის უფლებათა საკითხებში.[43]ამასთან, რეცენზენტებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს ამგვარი ტრენინგების გავლის ვალდებულებას.[44]

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წელს, სამინისტროსა და სახალხო დამცველის თანამშრომლობის შედეგად, აპარატის თანამშრომლებმა 84 რეცენზენტს ტრენინგი ჩაუტარეს. აღნიშნულის ფარგლებში მონაწილეებს აპარატის თანამშრომლებმა ინფორმაცია მიაწოდეს შშმ პირთა უფლებების, ბავშვთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვის მნიშვნელობის, რეცენზირების პროცესში იდენტიფიცირებული უფლებრივი გამოწვევებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსის შესწავლის შედეგად აპარატის მიერ გამოვლენილი ადამიანის უფლებებთან შეუსაბამო ჩანაწერების თაობაზე.

სახალხო დამცველის თვლის, რომ ხსენებული ტრენინგი ადამიანის უფლებათა საკითხებზე რეცენზენტთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს. თუმცა, ამ თვალსაზრისით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით არასაკმარისია.

რეცენზირების პროცესში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების სრულფასოვნად რეალიზებისათვის აუცილებელია, ყველა შერჩეულ რეცენზენტს ჩაუტარდეს, საჭიროებაზე დამყარებული, სავალდებულო ტრენინგები ადამიანის ძირითად უფლებთან დაკავშირებულ

---

[40]„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 04 ნოემბრის MES 5 22 0001409417 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმი 7; „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 ნოემბრის MES 7 22 0000051075 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმი 6.

[41] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, იხ. https://bit.ly/35oDnM8 [06/08/2023] პარ.18.

[42] იქვე.

[43] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილი.

[44] 2023 წლის 17 ივლისის 3804-23 ოქმის დანართი.

თემებზე. მეტიც, კვლავ გამოწვევაა ის, რომ რეცენზენტთა შერჩევისას ყურადღება არ მახვილდება ადამიანის ძირითად უფლებებთან შერჩეული პირის ღირებულებათა თავსებადობაზე.[45]

ამ კონტექსტში, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მასალაში შშმ პირთა ინტეგრირების 'პოზიტიურ დისკრიმინაციასთან' გათანაბრება სტიგმას, დისკრიმინაციულ განწყობებს აღვივებს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რეცენზენტებისთვის ადამიანის უფლებათა საკითხებზე სავალდებულო ტრენინგ-პროგრამის არსებობის მნიშვნელობას.

შშმ პირების ინტეგრირებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ფორმალური განათლების ყველა დონეზე, მათ შორის ზოგადი განათლების სისტემაში, მოსწავლეებს შშმ პირთა მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბოს.[46] აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ შშმ პირთა ინტეგრირება სასკოლო სახელმძღვანელოში შეუძლებელია გაუთანაბრდეს ე.წ. „პოზიტიურ დისკრიმინაციას," რადგან ეს ქმედება არ გულისხმობს ამ პირების მიმართ სხვა ჯგუფებისგან განსხვავებულ მოპყრობას ფაქტობრივი უთანასწორობის გამო.[47]

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ რეცენზენტის მიერ საგნობრივი ჯგუფის სხდომაზე გამოთქმული ნებისმიერი შეხედულება, კონკრეტული რეკომენდაციის ფორმირებისას ამ ხედვის უშუალო ზეგავლენის მიუხედავად, მკაცრი უფლებრივი შეფასების საგანია. ამ დასკვნას აძლიერებს რეცენზენტთა შერჩევისას უფლებრივი კრიტერიუმების, ასევე უფლებრივ საკითხებზე სავალდებულოდ გასავლელი ტრენინგების არარსებობა და საბოლოო რეცენზიის ფორმირება ხმათა უმრავლესობის საფუძველზე.[48]ამავე ჭრილში უნდა ითქვას, რომ ტერმინი „მუნჯი", კინოს კონტექსტშიც დისკრიმინაციულია.[49]

ამავდროულად, სახალხო დამცველი კვლავ მიუთითებს, რომ შინაარსობრივი რეცენზირებისას სახელმძღვანელოებში თანასწორობის დაცვის კრიტერიუმი გამოყენებული უნდა იქნეს არამხოლოდ სასწავლო მასალიდან რაიმე ნიშნით დისკრიმინაციული, ან მისი წამახალისებელი შინაარსის ამოღების, არამედ, მაგალითად, საქართველოში ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნების, ასევე გენდერული თანასწორობის წახალისების მიზნითაც.[50] საგულისხმოა აღნიშნულ საკითხზე სახელმწიფოს პოზიციაც „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის საფუძველზე შექმნილი საკონსულტაციო კომიტეტის წინაშე წარდგენილ უკანასკნელ მოხსენებაშიც.[51]

ამ დასკვნას ამყარებს შესაბამისი კრიტერიუმის სიტყვასიტყვითი ანალიზიც, რომლის მიხედვითაც: „[...]საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცულია

---

[45] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილი და დანართი 1.

[46] "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენცია, მიღებული 2006 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს მიმართ ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან, მე-8 მუხლის მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი; UN Committee on the Rights of Persons with Disabilities (CRPD), General comment No. 4 (2016), Article 24: Right to inclusive education, 2 September 2016, CRPD/C/GC/4, para. 48 https://shorturl.at/bfsQX [06/08/2023].

[47] ე.წ. პოზიტიურ დისკრიმინაციასთან მიმართებით იხ. Guide on Article 14 of the European Convention on Human Rights and on Article 1 of Protocol No. 12 to the Convention 31/08/2022 პარა. 40; https://shorturl.at/fgQ48 [06/08/2023]; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეშვიდე პუნქტი.

[48] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 01 აგვისტოს 17-1/7818 წინადადება გვ.8.

[49]თანასწორობის გზამკვლევი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ფონდი, 2021, გვ. 29 https://shorturl.at/ajEIR [06/08/2023]

[50] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 23 სექტემბრის 17-1/9393 წინადადება გვ. 8

[51] Fourth Report submitted by Georgia pursuant to Article 25, paragraph 2 of the Framework Convention for the Protection of National Minorities, 31 July 2023, para.118 https://rb.gy/93q7p [07/08/2023]

თანასწორობა [მათ შორის] სქესის და სხვა ნიშნით.“[52] ხსენებულ წესში დისკრიმინაციის აკრძალვის ნეგატიურად ფორმულირებული კრიტერიუმი ცალკეა მოცემული, ხოლო ზემოხსენებული ციტატა დამოუკიდებელი ქვეკრიტერიუმის სახითაა წარმოდგენილი.

საგნობრივი ჯგუფის წევრთა მხრიდან არაეთიკურ, არაკოლეგიალურ ქცევაზე რეაგირების შესაძლებლობები

გრიფირების წესის თანახმად, ამ პროცესის პრინციპებს შორისაა თანამშრომლობა, კეთილსინდისიერება და კორექტულობა.[53] სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ შინაარსობრივი რეცენზირება სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების ერთ-ერთი ეტაპია.[54] შესაბამისად, ხსენებული პრინციპებით ეს ეტაპი და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრის ქცევაც იბოჭება.[55] ამ დასკვნას რეცენზენტებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და რეცენზირების წესის შინაარსიც ადასტურებს.[56]

მეტიც, ვინაიდან რეცენზენტები სისტემის ზოგადი განათლების სამსახურში საქმდებიან, დამსაქმებელი უფლებამოსილია მათ მოსთხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.[57] ამ ვალდებულებების, მათ შორის გრიფირების წესით გათვალისწინებული პირობების, დარღვევის შემთხვევაში კი მისცეს გაფრთხილება, ხოლო განმეორების შემთხვევაში, შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება.[58] საყურადღებოა ისიც, რომ შრომითი ხელშეკრულების თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია რეცენზენტს გააცნოს გრიფირების წესი და მინისტრის სამართლებრივი აქტები, რომლებიც აუცილებელია მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისთვის.[59]

ამ მსჯელობის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ საგნობრივი ჯგუფის წევრთა მხრიდან „სხვა სპეციალისტებთან“ მიმართებით გამოვლენილი არაეთიკური, არაკოლეგიალური ქცევა მათ მიერ გამოვლენილი პრობლემების მნიშვნელობის დაკნინება და რეკომენდაციათა გაზიარებაზე ყოველგვარი განმარტების გარეშე უარის თქმა გრიფირების პროცესის პრინციპებს - კეთილსინდისიერებას, კორექტულობასა და თანამშრომლობას, ეწინააღმდეგება.

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ რეცენზირებისას რეკომენდაციათა ურთიერთ შეჯერებისა და რედაქციულად ჩამოყალიბების ფარგლებში წამოჭრილი საკითხების ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტა არ მოიცავს რეცენზენტის უფლებას, დაუსაბუთებლად, განმარტების მიცემის გარეშე არ გაიზიაროს შემფასებელი კოლეგის რეკომენდაცია.[60] ამგვარი ქმედება პროცესის ბოროტად გამოყენების აქტია ვინაიდან იგი ზოგადად, გრიფირების კეთილსინდისიერად წარმართვას და,

---

[52]ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 04 ნოემბრის MES 5 22 0001409417 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმი 7.1.2. „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 ნოემბრის MES 7 22 0000051075 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმი 6.1.2

[53] გრიფირების წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

[54] იქვე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

[55] 2023 წლის 17 ივლისის 3804-23 ოქმის დანართი მუხლი 3.4.3.

[56] იქვე; რეცენზირების წესის მე-5 მუხლის მეორე პუნქტი.

[57] 2023 წლის 17 ივლისის 3804-23 ოქმის დანართი მუხლი 3.4.3.

[58] იქვე, მუხლი 3.4.4.

[59] იქვე, მუხლი 3.5.1.

[60] იქვე. მუხლი 3.2.5.

შესაბამისად, მოსწავლეთა ხარისხიანი სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი საჯარო ინტერესის წინააღმდეგაა მიმართული.[61]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეცენზენტებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ტექსტისა და გრიფირების წესის დებულებების ანალიზის საფუძველზე, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ რეცენზირებისას საგნობრივი ჯგუფის წევრის მხრიდან კოლეგისადმი აშკარად არაეთიკური, დამამცირებელი ქცევის გამოვლენის, ისევე როგორც რეკომენდაციის გაზიარებაზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარის თქმის შემთხვევაში, დამსაქმებელს აქვს შესაბამისი პირის მიმართ სამართლებრივი რეაგირების უფლებამოსილება, რაც ამ დრომდე არ გამოყენებულა.

გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები

გრიფირების პროცესი ადმინისტრაციული წარმოებაა, რომლის საბოლოო მიზანი გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემაა.[62] ამ ჭრილში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია„...ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.“[63]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „…ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს - მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას - ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება...”[64]

საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზემოხსენებული ვალდებულების შესრულების კონტექსტში სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა უმნიშვნელოვანესია. რეცენზირების პროცესის თითოეულ ეტაპზე, სათანადო საჩივრის გადაწყვეტისას, კომისია უფლებამოსილია შეცვალოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებები, რეკომენდაციები და დასკვნები.[65]

ამდენად, ვინაიდან კომისიის გადაწყვეტილება რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფისთვის შესასრულებლად სავალდებულოა, მას შეუძლია პრაქტიკულად „უზრუნველყოს“ კონკრეტული მაკეტის მიერ გრიფის მინიჭებისთვის დადგენილი ყველა პირობის დაკმაყოფილება.[66] კომისიას გადაწყვეტილებათა დასაბუთების ვალდებულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებაც უწესებს.[67]

---

[61] გრიფირების წესის პირველი მუხლის მეორე პუნქტი.
[62] გრიფირების წესის მე-11 მუხლის მეორე პუნქტი.
[63] „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 96-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[64] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ბს-518(კ-20) როგორც ის ციტირებულია კრებულში „საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე N1” 2021, გვ.21 https://bit.ly/3of6TPy [06/08/2023].
[65] სააპელაციო კომისიის მუშაობის წესის მეშვიდე მუხლის მეორე პუნქტის ‘ზ.ა’-‘ზ.გ’ ქვეპუნქტები
[66] იქვე, მე-7 მუხლის მერვე პუნქტი, გრიფირების წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.
[67] სააპელაციო კომისიის მუშაობის წესის მეშვიდე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ხსენებულ კონტექსტში კიდევ უფრო პრობლემურია სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში ადამიანის უფლებათა ექსპერტის არყოფნა. მართალია, კომისიას აქვს პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტებისა და შემფასებელი რეცენზენტების ჩართვის უფლებამოსილება, თუმცა არცერთ მათგანს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობა არ აქვს.[68]

სახალხო დამცველის შეფასებით, სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილებათა დასაბუთების გარეშე, ფაქტების დადგენასა და მათ სამართლებრივ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ყოველგვარი მსჯელობის გარეშე მიღება, სხდომაზე მოწვეული პირების პოზიციების გაუმჟღავნებლობისა და შეუფასებლობის არსებული პრაქტიკა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. მეტიც, იგი საფრთხეს უქმნის სასკოლო სივრცეში ადამიანის ძირითად უფლებებთან თავსებადი სავალდებულო სასწავლო მასალის დანერგვას და ამდენად, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევასაც.

ამ დასკვნას არ ცვლის შესაფასებელ პერიოდში სააპელაციო პროცესში „სხვა სპეციალისტებისა“ და ფსიქოლოგების ეფექტიანი ჩართვის ცალკეული პოზიტიური გამოცდილებაც, რადგან იგი არ ცვლის ადმინისტრაციული წარმოებისას გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევისა და გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთების ვალდებულებასთან მიმართებით დადგენილ საკანონმდებლო სტანდარტს.[69]

დასკვნა

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უწყებათაშორისი თანამშრომლობის შედეგად მიღწეულია უმნიშვნელოვანესი პროგრესი. თუმცა, შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში კვლავ რჩება ისეთი გამოწვევები, როგორიცაა სხვა საკითხებთან ერთად, რეცენზენტებისთვის ადამიანის ძირითად უფლებებში საჭიროებაზე დაფუძნებული სავალდებულო ტრენინგ პროგრამის არ არსებობა, სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში ადამიანის უფლებათა ექსპერტის არყოფნა და კომისიის მიერ გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა. აღნიშნულის გამო, შინაარსობრივი რეცენზირების პროცესი ადამიანის უფლებათა განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან და ადამიანის უფლებათა სამართალის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შინაარსობრივი რეცენზირების შემდგომი პროცესის დახვეწის მიზნით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ “საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- შეიქმნას რეცენზენტთა შერჩევის ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებშიც კანდიდატისთვის სავალდებულო იქნება ისეთი ღირებულებების ქონა, როგორიცაა ტოლერანტობა, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის რწმენა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა;
- შევიდეს ცვლილება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის 40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მუსიკის საგნის სტანდარტში და ტერმინი „მუნჯი კინო“ ჩანაცვლდეს არადისკრიმინაციული ტერმინით;

[68] გრიფირების წესის მე-10 მუხლის მესამე პუნქტი.

[69] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 27 ივლისის 8864/23 წერილი; 2023 წლის 17 ივლისის 3805-23 ოქმის დანართი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ბს-518(კ-20) როგორც ის ციტირებულია კრებულში „საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე N1” 2021, გვ.21 https://bit.ly/3of6TPy [06/08/2023]

- რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების წევრების მიერ სახელმძღვანელოებში თანასწორობის დაცვის კრიტერიუმის გამოყენება მოხდეს არამხოლოდ სასწავლო მასალიდან რაიმე ნიშნით დისკრიმინაციული ან მისი წამახალისებელი ტექსტის ამოღებისთვის, არამედ საქართველოს ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნების, ასევე გენდერული თანასწორობის პროაქტიულად წასახალისებლად;
- უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, უფლებრივი ასპექტების სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოში ინტეგრირების მეთოდოლოგიის შესახებ, საჭიროებებზე დაფუძნებული სავალდებულო ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და ჩატარება რეცენზენტებისათვის; რეცენზენტებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს ამ ტრენინგების გავლის ვალდებულება;
- სააპელაციო კომისიის ერთ-ერთ წევრად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის სრული უფლებამოსილებით, განისაზღვროს ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობის შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტი;
- უზრუნველყოფილ იქნეს სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილებების დასაბუთება, რაც მათ შორის მოიაზრებს კომისიის მიერ სხდომაზე მოწვეული პირის, ან პირების პოზიციის გადაწყვეტილებაში აღწერასა და მათზე დასკვნების დასაბუთებასაც.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი წინადადება და მაცნობოთ პასუხი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.